

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ბაზეთი №10(192) 2019 წ. 16-31 მაისი ფასი 1 ლარი

26 მაისი – საქართველოს დამოუკიდებლობის დღე!

26 მაისს საქართველოში დამოუკიდებლობის დღე აღინიშნება. 101 წლის წინ, 1918 წლის 26 მაისს, საქართველოს ეროვნულმა საბჭომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტი მიიღო. საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ 1921 წელს რუსეთის მიერ განხორციელებული ოკუპაციის შემდეგ არსებობა შეწყვიტა. საქართველომ დამოუკიდებლობის აღდგენა 70 წლის შემდეგ, 1991 წლის 9 აპრილს, შეძლო...

...1800 წელს რუსეთის იმპერატორმა პავლე I-მა იმპერიასთან ქართლ-კახეთის შეერთების მანიფესტი გამოაცხადა. ეს, ფაქტობრივად, საქართველოს სამეფოს გაუქმებას ნიშნავდა. გენერალმა კნორინგმა ქართველ ხალხს ჯარით გარემორტყმულ სიონში წაუკითხა იმპერატორის განაჩენი. ქვეყანა, რომელსაც თითქმის ათი საუკუნე მართავდა ბაგრატიონთა დინასტია, რუსი მთავარმართებლის ხელში გადადიოდა.

იმპერია ნაბიჯ-ნაბიჯ სპობდა საქართველოს თვითმყოფადობას: გაუქმდა ქართული ეკლესიის ავტოკეფალია; ქართული წირვა-ლოცვა რუსულით შეიცვალა; გაიძარცვა საეკლესიო სიწმინდეები, განადგურდა ძეგლები; რუსული ენა დამკვიდრდა მმართველობის ორგანოებში, სასამართლოებში, სასწავლებლებში; განგებ აღვივებდნენ ეთნიკურ შუღლს საქართველოში მცხოვრებ ხალხთა შორის; რუსეთში გადაასახლეს ბევრი გამორჩეული მამულიშვილი, რომელთაც ხმა აიმაღლეს იმპერიის პოლიტიკის წინააღმდეგ; დაქვსდა ცენზურა.

ქართველები უდრტვივნებლად არ შეგუებიან დამოუკიდებლობის დაკარგვას, მაგრამ

აჯანყებებსა და შეთქმულებებს რუსეთის უზარმაზარი იმპერიის წინააღმდეგ შედეგი არ მოჰყოლია. ქართველებმა დროებით ჩააგეს ხმლები და, წარსულის სევდით განმსჭვალულებმა, მწერლობაში ჰპოვეს ნახაყუდელი. ასე დაიწყო საქართველოში რომანტიზმის ხანა. XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი თერგდალეულთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გაიშალა.

“ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნესო”, - ლელთ ღუნიას ეს სიტყვები მთავარ იდეად გასდევდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ აზროვნებას. “ერის დაცემას მაშინ იწყება, როცა ის თავის წარსულს იეპყებს”, ამიტომაც თერგდალეულები ყოველნაირად ცდილობდნენ ეროვნული სულის გაღვივებას, თითქოს მომავალი დამოუკიდებლობისთვის ამზადებდნენ ქვეყანას. შექმნეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, გამოუშვეს ქართული ჟურნალ-გაზეთები, ადავინეს ქართული თეატრი, დააფუძნეს ქართული სათავადაზნაურო ბანკი. 1905 წლიდან კი უკვე აშკარად დაიწყო ბრძოლა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის აღსადგენად.

ისევე, როგორც ყველა სხვა იმპერიამ, მეფის რუსეთმაც ამოწურა თავისი ძალები. სახელმწიფოს შიგნით გაჩენილი წინააღმდეგობები 1917 წლის რევოლუციაში გადაიზარდა და საბოლოოდ დაასამარა რომანოვთა სამსაწლიანი დინასტია. რუსეთს კავკასიისთვის აღარ ეცალა. საქართველოს ბედის შესაცვლელად ხელსაყრელი დრო დადგა. პირველმა ეს შესაძლებლობა ქართულმა ეკლესიამ გამოიყენა. 1917

წლის მარტში სიონის ტაძარში საზეიმოდ გამოცხადდა საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. თავისუფლებამდე ერთი ნაბიჯიღა დარჩა.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ პეტერბურგიდან სამშობლოში დაბრუნდნენ ქართველი სოციალ-დემოკრატები - მენშევიკები, რომელთაც მანამდე რუსეთის დროებით მთავრობაში სხვადასხვა პოსტი ეკავათ. რევოლუციურ პეტერბურგთან შედარებით თბილისი ოაზისს ჰგავდა, მაგრამ პრობლემებმა აქაც მალე იჩინა თავი. რუსეთის ახალ ხელისუფლებას აღარ სურდა გერმანიასა და თურქეთთან ომის გაგრძელება. კავკასიის ფრონტი დაიშალა, საქართველოს კი თავისი არც ხელისუფლება ჰკავდა და არც არმია, თავი რომ დაეცვა.

მენშევიკებმა 1918 წელს მოიწვიეს სეიმი, რომელსაც ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის მართვა უნდა ელო თავს. სეიმი გამოაცხადა, რომ ამიერკავკასია რუსეთს გამოეყო. მაგრამ ჩრდილოელმა მეზობელმა “სახუქარი” მოუშადა თავისუფლების გზაზე შემდგარ ქვეყნებს. საბჭოთა რუსეთმა ბრესტ-ლიტოვსკში დადო ზავი, რომლითაც ბათუმის, ყარსისა და არდაგანის ოლქებს გერმანიის მოკავშირე თურქებს უთმობდა.

თურქებთან მოსალაპარაკებლად ბათუმში ახალშექმნილი სეიმის მრავალეუროვანი დელეგაცია ჩავიდა. მოლაპარაკება, რაღაც თქმა უნდა, უშედეგოდ აღმოჩნდა. თავი იჩინა ამიერკავკასიის ქვეყნების ინტერესთა სხვადასხვაობამაც: თუ საქართველო და სომხეთი ვერ ეგუებოდნენ თავიანთი მიწა-წყლის დაკარგვას, აზერბაიჯანი ერთმორ-

წმუნე თურქეთთან წინააღმდეგობას არ აპირებდა.

როცა საკითხის მოგვარების ყველა იმედი ამოწურა, ქართულმა დელეგაციამ გამოწინაა გადარჩენის ერთადერთი გზა - დამოუკიდებლობა. საქართველო არ ცნობდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავს და გერმანიის მოკავშირე გახდებოდა, ხოლო გერმანიის მეორე მოკავშირე, თურქეთი, იძულებული იქნებოდა, შეგუებოდა ვითარებას.

სოციალ-დემოკრატების პოლიტიკური პროგრამა ეროვნული იდეალების შორს იყო, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნის ექვსმა თვემ მათ ცხადად დაანახა, რომ არავითარი ზოგადსაკაცობრიო იდეა არ იდგა მამულიშვილურ ვალზე მაღლა.

აი, რას წერდა მაშინდელი მოვლენების ერთ-ერთი მონაწილე ზ. ავალიშვილი: “ამ განსაკუთრებულ წუთში როგორ არ გვესმინა ისტორიული სტიქიების გუგუნი, როგორ არ ყურადღევლო იმათი ხმა, ვინც დიდი ხანია აღარ არის... აი, დამოუკიდებლობამ კარზე მოაკაკუნა და როგორ არ შევეგებოთ აღტაცებით! თუ ეს წუთი გავუშვით, რა პასუხი გავცეთ იმათ, ვინც ჩვენს შემდეგ მოვა...”

და 1918 წლის 26 მაისს თბილისში საქართველოს ეროვნულმა საბჭომ მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, რომლის პირველ პუნქტში ეწერა ის, რაზეც საუკუნეების მანძილზე ოცნებობდა უამრავი მამულიშვილი: “ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა”.

საბარეჯო პროვნული სამოსის დღე იზიება

18 მაისს საქართველოში ეროვნული სამოსის დღე აღინიშნა. ამ დღესთან დაკავშირებით, საბარეჯოს კულტურის ობიექტების გაერთიანების ინიციატივით ქალაქ საბარეჯოს ცენტრალურ მოედანზე, ეროვნულ სამოსში გამოწვიბილმა საჯარო სკოლების ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა საზეიმო მსვლელობა მოაწვეს. მსვლელობა ქალაქ საბარეჯოს კულტურის სახლში გამართული კონცერტით დასრულდა. ღონისძიებას საბარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ალექსი გილაშვილი და განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი არჩილ ჯაბაღარი ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ.



რიგბარეჯო არჩივნიბი ზურაბ შინდელაშვილი საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი



19 მაისს

საბარეჯოს მუნიციპალიტეტის უზარმაზარ თემში გამართულ რიგბარეჯო არჩევნებში საბარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს დეპუტატობის მანდატის მო-

საპოველად 12 კანდიდატი იყრიდა კენჭს. მათგან ხმების 72% ზურაბ შინდელაშვილმა (წარმდგენი პარტია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“) მოიპოვა. ხოლო პარტია „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენელმა ირაკლი ჭინჭარაძემ – 26%.

მუნიციპალური გვერდი

საგარეო მუნიციპალიტეტის საპრემიუმო რიგგარეშე სწომა 26 მაისი, 2019 წელი

საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სწომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე ოთარ ჩაღატაშვილი უძღვევოდა.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 დეკემბრის 62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მომხსენება გააკეთა საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა თინათინ აბაიძემ, როგორც მან აღნიშნა:

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეო მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 871,607 ათასი ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 871,607 ათასი ლარით.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №788 განკარგულებით შევიდა ცვლილება საქართველოს მთავრობის 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებაში და 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დამატებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილია 871,607 ათასი ლარი.

შესაბამისად საგარეო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 5 აპრილის №788 განკარგულებით 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:

ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯებში დაემატა 871607 ლარი; კერძოდ, დაფინანსდა:

1) ქ. საგარეოში თამარ მეფის ქუჩაზე ტროტუარების მოწყობა, მოასფალტება და სანიაღვრე არხების რე-



აბილიტაციის სამუშაოები - 871607 ლარი, თანადაფინანსება 45874 ლარიდან ბიუჯეტში გათვალისწინებულია 27081 ლარი, დარჩენილი 18793 ლარის გადატანა მოხდება დასუფთავების ღონისძიებებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში არსებული აუთვისებელი თანხიდან.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) უნდა დაფინანსდეს:

საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება -50 000 ლარი (საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია).

სტიქიის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საგარეო მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებისთვის დასუფთავების ღონისძიებებში არაფინანს-

ური აქტივების ზრდის მუხლიდან სანიაღვრე არხების მოწყობის და ადგილის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში გადადის 50000 ლარი. მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 25 აპრილის №21 განკარგულებით დამტკიცდა ა(ა)იპ საგარეო მუნიციპალიტეტის სახმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის ახალი საშტატო ნუსხა, საჭიროა 14810 ლარის დამატება ა(ა)იპ-ის სუბსიდიის ხე. თანხის გადატანა მოხდება დასუფთავების ღონისძიებებიდან საკონკრეტო და მომსახურების მუხლში აუთვისებელი თანხიდან 10944 ლარი და არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან 3866 ლარი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე:

„საგარეო მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების ანგარიშის მოსმენის შეს-

ახებ“ მოხსენება გააკეთა საგარეო მუნიციპალიტეტის მერიის საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილების გამგემ მარიამ თაბიაშვილმა. მომხსენებელმა დაწვრილებით მიმოიხილა ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მდგომარეობა:

საგარეო მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2018 წლის 25 დეკემბრის №62 დადგენილებით დამტკიცებულ ბიუჯეტში 2019 წლის 15 მარტს 4 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების შესაბამისად დახუტებული ბიუჯეტის შემოსულობების და ნაშთის ცვლილების გეგმა, აგრეთვე გადასახდელების გეგმა განისაზღვრა 20 015,400 ლარით, ანუ დამტკიცებულთან 12 200,600 ლართან შედარებით 7814,800 ლარით გაიზარდა.

საგარეო მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდიდან დაემატა 5647,447 ლარი, მ.შ.: 1) წინა წლის ნაშთიდან განაწილდა 990,646 ლარი და შესაბამისად გაიზარდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯები 171,042 ლარით; წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები 2,693 ლარით; გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებების ხარჯი 40,245 ლარით; სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის ხარჯი 335,183 ლარით; სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების რეაბილიტაცია 437,647 ლარით; კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები 3,836 ლარით; 2) 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს მთავრობის მიერ 2018 წლის 31 დეკემბრის №2577 განკარგულებით გამოყოფილი სულ 1434,500 ლარი, აქედან 294,500 ლარი გამოიყო ქ.საგარეოში სა-

ბაბრძილება მ-3 გვერდზე

საგარეო მუნიციპალიტეტი სოფელი წყაროსთავი

კომლი - 300
მოსახლეობა - 1200 კაცი
სადოვარი - 1338 ჰა
სახნავ-სათესი - 2530 ჰა
ერთწლიანი კულტურები - 619 ჰა
მრავალწლიანი კულტურები - 763 ჰა

მერის წარმომადგენელი წყაროსთავში ბიორბი კერატიშვილი დაიბადა 1977 წელს; ბანათილება - დავით გარეჯელის სახელობის პუბლიცისტური-ტექნიკური ინსტიტუტი - 1993-1997წწ. სპეციალობა - წარმოების ეკონომიკა და მართვა, ეკონომიკის ბაკალავრი.

სამუშაო გამოცდილება: დაცვის პოლიციის სამსახური, დაცვის პოლიციელი 2000-2012წწ; გამგებლის წარმომადგენელი სოფელ წყაროსთავში 2013 წლიდან დღემდე.

ინფრასტრუქტურა 2019 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხებით დაფინანსდა წყაროსთავის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების შიდა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით გამოყოფილი 16 ათასი ლარი სოფლის მოსახლეობის გადაწყვეტილებით სოფლის ქუჩების გარე განათებას და მინი სტადიონის მოწყობას მოხმარდება.

სკოლა წყაროსთავის საჯარო სკოლაში (მენე-

ჯერი მაია ნაღობაძე) 12 საფინანსო კლასში 68 მოსწავლეა. მათგან პირველკლასელია - 5, XII კლასში კი 8 მოსწავლეა. საკლასო ოთახების რაოდენობა სულ რვაა, ამიტომ სკოლაში სწავლა ორ ცვლად მიმდინარეობს, პირველი კლასი კი საბავშვო ბაღის ყოფილი შენობის ოთახშია განთავსებული, ერთი შეხედვით უბრალო მიზეზის გამო - მათი გაკვეთილების პროცესი 35 წუთიანია, დანარჩენი კლასების



კი - 40 წუთიანი. სკოლის შენობაში კი პირველკლასელების იზოლირება უფროსკლასელებისაგან შეუძლებელია - სკოლა სულ ერთსართულიანი და ერთკორიდორიანია...

სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი. ეზოში არსებული სპორტული მოედანიც



კეთილმოწყობელია. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, ასევე არ არის ფიზიკისა და ქიმიის კაბინეტები. მომავალი სასწავლო წლისათვის სკოლის შენობას სველ წერტილებს მოამატებენ. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლას წარჩინებული სწავლის - მედლის ორი კანდიდატი ჰყავთ - ნუცა დათუნაშვილი და თამარ კერატიშვილი.

მომავალი სასწავლო წლისთვის ერთგვარ სირთულეს წარმოადგენს პირველკლასელების დასკვნის კონტიგენტის სიმცირე. მიზეზსკოლის ორ ცვლაში მუშაობაა, რის გამოც მშო-

ბლებს შეილება ნინოწმინდისა და საგარეო საჯარო სკოლებში შეყვანა - სწავლის შემდეგ კი შესაძლო ხდება შეილება სამუსიკო სკოლასა და ქორეოგრაფიულ წრეებში ატარონ...

სკოლაში მოსწავლეთა სწავლა-განათლებას 20 მასწავლებელი ემსახურება.

საბავშვო ბაღი საბავშვო ბაღის (მენეჯერი ნინო მუხომიაშვილი) 15 აღსაზრდელს აღმზრდელი ქეთი ქავთარაძე, ექთანი მედეა მურმიშვილი, მზარეული ნინო თაბიაშვილი და



დაფინანსდა. მენეჯერი ქ.ნინო მუხომიაშვილი მადლიერებას გამოხატავს მუნიციპალიტეტისა და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების ხელმძღვანელობის მიმართ და სიამაყით მიხედავს სამზარეულოსაც და სასაწყობე ოთახსაც.

პრიორიტეტები მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერ-

დახასრული მ-4 გვერდზე

გაბრძნობა

მუნიციპალური გზები

**საბარჯოს მუნიციპალიტეტის
საბრძნო რიგბარეუ სელომ**
26 მაისი, 2019 წელი

თავის ქუჩის წმინდა გიორგის ეკლესია-სთან მისასვლელი გზის მოასფალტების სამუშაოებისთვის და შესაბამისად გაიზარდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯები; ხოლო 1 140,000 ლარი გამოიყო სოფელ კაკაბეთში სასმელი წყლის ქსელის მოწყობის II ეტაპის სამუშაოებისთვის და შესაბამისად გაიზარდა წყლის სისტემის რეაბილიტაცია, ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის ხარჯები;

ამავე განკარგულებაში შესული ცვლილებებით დაემატა მ.წ. 24 იანვრის № 63 განკარგულებით 1049,541 ლარი შემდეგი პროექტებისთვის: ქსაგარეჯოში სარაჯიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 198,702 ლარი, მარჯანიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები 250,192 ლარი, სოფელ მანავში ე.წ. „ტურის უბანში“ ასფალტ-ბეტონის გზის საფარის მოწყობის სამუშაოები 600,647 ლარი და შესაბამისად გაიზარდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯები; ხოლო 19 თებერვლის 315 განკარგულებით 721,630 ლარი გამოიყო სოფელ ხაშში შიდა საავტომობილო გზის მოასფალტების და სკოლისკენ მიმავალ გზაზე ქვის ფენილის მოწყობის სამუშაოებისთვის და შესაბამისად გაიზარდა ადგილობრივი მნიშვნელობის გზების მშენებლობის, რეკონსტრუქციის და რეაბილიტაციის ხარჯები; 3) სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მ.წ.22 იანვრის 45 განკარგულებით გამოიყო 329,000 ლარი, ამავე განკარგულებაში შესული ცვლილებებით მ.წ. 8 თებერვლის 208 განკარგულებით კიდევ დამატებით გამოიყო 329,000 ლარი; 4) 2019 წლის 18 იანვრის №13 განკარგულებით „სოფერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ გამოიყო მიზნობრივი ტრანსფერი სულ 423,130 ლარი, მათ შორის: საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 360,000 ლარი, ხოლო მოსწავლეობა ტრანსპორტით უზრუნველყოფისთვის 63,130 ლარი, ამავე განკარგულებაში შესული ცვლილებებით მ.წ. 8 თებერვლის 207 განკარგულებით კიდევ დამატებით გამოიყო 370,000 ლარი და გაიზარდა საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების ხარჯები;

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე დაემატა წინა წლის ნაშთიდან 2167,353 ლარი და შესაბამისად გაიზარდა ხარჯები 1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის 1501,369 ლარი; 2) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია და მოვლა-შენახვის 101,512 ლარი; 3) გარე განათების რეაბილიტაციის 6,303 ლარი; 4) სანიტარული არხების აღდგენის 29,060 ლარი; 5) სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაციის 96,179 ლარი; 6) კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებების 80,596 ლარი; 7) სკოლამდელი დაწესებულებების 275,111 ლარი; 8) მერიის 77,223 ლარი. ნაშთი წლის დასაწყისისთვის შეადგენდა 3265,368 ლარს. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის საშემოსავლო ნაწილი შესრულდა 89 %-ით (გეგმა 2737,312 ლარი, ფაქტი 2424,210 ლარი). ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადება, გრანტები, სხვა შემოსავლები) სახით შემოსულა 2421,770 ლარი, რაც საპროგნოზო მანქანების (2702,312 ლარი) 90 % შეადგენს..

1) გადასახადების სახით შემოსულია 1824,766 ლარი, გეგმის 2309,062 ლარის 79 %, აქედან ქონების გადასახადი შეადგენს 101,915 ლარს; მათ შორის: ფიზიკურ პირთა ქონებაზე 93 ლარი, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 99,868 ლარი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადი 14,506 ლარი, სახელმწიფო ხაზინის მიერ გადასახდი

საწარმოთა ქონებაზე(გარდა მიწისა) და-კორექტირდა და შემცირდა 12,551 ლარით; გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე ანუ დამატებული ღირებულების გადასახადი შემოვიდა 1722,851 ლარი(გეგმის 2016,645 ლარის 85 %);

2) გრანტების სახით მიღებულია 293.671 ლარი, გეგმის 52,500 ლარის 559 % მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 115.630 ლარი, აქედან 63,130 ლარი მოსწავლეობა ტრანსპორტით უზრუნველყოფის ხარჯია; საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია 178.041 ლარი;

3) სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 303.333 ლარი, რაც საპროგნოზო მანქანების 340.750 ლარის 89 %-ია, მათ შორის: 1) შემოსავალი პროცენტებიდან 34.885 ლარი (გეგმის 40,000 ლარის 87 %); 2) რენტა 146.818 ლარი (გეგმის 140,000 ლარის 105%); აქედან: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 130.554 ლარი, შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირაენობა და სხვა) გაცემიდან 16,264 ლარი; 3) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 17,689 ლარი (გეგმის 20,750 ლარის 85 %), აქედან: ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახადები 16,359

ლარი (გეგმის 19,250 ლარის 85 %), მ.წ.: სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადაადგების 600 ლარი, დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისთვის 8,641 ლარი, მშენებლობის ნებართვაზე 7,118 ლარი; ბ) არასახაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (შემოსავალი შენობების და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან) 1,324 ლარი, (გეგმის 1,500 ლარის 88 %); 4) ჯარიმები, სანქციები და საურავები 103,941 ლარი (გეგმის 140,000 ლარის 74 %); არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 2,441 ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (35.000 ლარის) 7 %-ია. ეს არის არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან შემოსული თანხა.

საგასავლო ნაწილი საკუთარი სახსრების ჩათვლით შესრულდა 69%-ით (გეგმა 5946,590 ლარი, ფაქტი 4110,170 ლარი); მათ შორის: საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე შესრულდა 74%-ით (გეგმა 4619,719 ლარი, ფაქტი 3434,820 ლარი); საკუთარი სახსრები შესრულდა 94 %-ით (გეგმა 132,269 ლარი, ფაქტი 124,381 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული მიზნობრივი ტრანსფერი შესრულდა 92 %-ით (გეგმა 52.500 ლარი, 3 ფაქტი 48,295 ლარი); სხვა დონის ბიუჯეტით გათვალისწინებული სპეციალური ტრანსფერის გეგმა 13.184 ლარი, არ შესრულდა; სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერი შესრულდა 44%-ით (გეგმა 1142,102 ლარი, ფაქტი 502,674 ლარი).

საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის გადასახადების გეგმის შესრულების მანქანებზე ასეთია:

შრომის ანაზღაურებაზე გახარჯულია 508,487 ლარი, გეგმის 518,540 ლარის 98 %; საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 546,281 ლარი, გეგმის 724,313 ლარის 75 %; სუბსიდიების ხარჯმა შეადგინა 1013,023 ლარი, გეგმის 1117,369 ლარის 91 % ;

გრანტები შეადგენს 37,500 ლარს, გეგმის 100 %; სოციალური უზრუნველყოფა დაფინანსებულია 110,913 ლარით, გეგმის 114,810 ლარის 97 %;

სხვა ხარჯები შეადგენს გეგმის 97,506 ლარის 44 % ანუ 43,359 ლარს;

არაფინანსური აქტივების ზრდის მუსლი დაფინანსდა გეგმის 3336,052 ლარის ნაცვლად 1850,606 ლარით ანუ 55 %-ით. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება პირველ კვარტალში ასეთია:

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხარჯებმა შეადგინა 812,527 ლარი, გეგმის 859,923 ლარის 94 %; მ.წ. საკრებულოს გეგმა 175,200 ლარი, შესრულდა 167,935 ლარი, 96%; მერია გეგმა 684,723 ლარი, შესრულდა 644,591 ლარი, 94 %;

თავდაცვის ხარჯებმა შეადგინა 27,166 ლარი, გეგმის 30,535 ლარის 89%; ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ექსპლოატაციის ხარჯებმა 1859,276 ლარი, გეგმით გათვალისწინებული 2993,315 ლარის 62%. მათ შორის:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის ხარჯებმა შეადგინა 1090,792 ლარი, გეგმის 1703,698 ლარის 64 %;

2) წყლის სისტემების რეაბილიტაციის, ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის ღონისძიებებს მოხმარდა 29,594 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 40 % (გეგმა 73,802 ლარი);

3) ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეგულირებისა და ლაბორატორიული კვლევის ცენტრის მიერ გახარჯულია 53,157 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 82 % (გეგმა 64,623 ლარი);

4) გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაციის ღონისძიებები დაფინანსდა 271,085 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებულის 94 % (გეგმა 287,755 ლარი);

5) დასუფთავების ღონისძიებები დაფინანსებულია 6,140 ლარით, 6 % (გეგმა 101,685 ათ.ლარი); 6) სანიტარული არხების აღდგენა 26,766 ლარი, გეგმა 29,060 ლარი, შესრულება 92 %;

7) შ.პ.ს „საგარეჯო“ დაფინანსდა 53,000 ლარით, გეგმის 100 %; 4) შ.პ.ს. „სუფთა მუნიციპალიტეტი 2018“ დაფინანსდა 89,340 ლარით, გეგმის 92,022 ლარის 97%.

8) სპორტული მოედნების მოწყობა-რეაბილიტაცია გეგმა 442,075 ლარი, შესრულება 206,996 ლარი(47%);

9) კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები გეგმა 145,596 ლარი, შესრულება 32,406 ლარი (22 %).

4 განათლების ხარჯები დაფინანსებულია 58 %-ით (გეგმა 1335,198 ლარი, ფაქტი 778,420 ლარი; მათ შორის: 1) ა(ა)იპ - საგარეჯოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება დაფინანსებულია 85 %-ით (გეგმა 559,949 ლარი, ფაქტი 474,419 ლარი);

2) ა(ა)იპ საგარეჯოს სკოლისგარეშე დაწესებულებათა გაერთიანების ხარჯებმა შეადგინა 18,067 ლარი, ბიუჯეტით გათვალისწინებული 19,450 ლარის 93%;

3) სკოლამდელი დაწესებულებები (შეკეთება, მშენებლობა, რეაბილიტაცია) დაფინანსდა 266,352 ლარით, გეგმა 692,369 ლარი, 38%;

4) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში- გეგმაც და შესრულებაც 300 ლარი(100%);

5) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა 19,282 ლარი გეგმის 63,130 ლარის 31 %;

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსებულია 85 %-ით საკუთარი შემოსავლების ჩათვლით(გეგმა 525,934 ლარი, ფაქტი 447,128 ლარი), მათ შორის: 1) ა(ა)იპ საგარეჯოს № 105 კომპლექსური სასპორტო სკოლა დაფინანსდა 9,606 ლარით, გეგმა 12,374 ლარი, შესრულება 78%;

2) ა(ა)იპ საგარეჯოს სპორტული გაერთიანების პირველი კვარტლის გეგმა

შეადგენდა 132,123 ლარს, აქედან დაფინანსებულია მხოლოდ სუბსიდიის გეგმის 97,623 ლარის 81% 79,361 ლარი; 3) ა(ა)იპ რაგბის კლუბი „ვეფხები“ დაფინანსება 150,799 ლარი, გეგმა 155,882 ლარი, შესრულება 97%;

4) შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი საგარეჯოს გარეჯო დაფინანსება 8,740 ლარი, გეგმა 11,920 ლარი, შესრულება 73%;

5) სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 9,008 ლარი ფაქტი 8,953 ლარი , 99 % ;

6) ა(ა)იპ „საგარეჯოს ჯემალ ბურჯანაძის სახელობის საშუალო სკოლა“ გეგმა 40,716 ლარი, ფაქტი 36,334 ლარი, შესრულება 89%;

7) ა(ა)იპ კულტურის ობიექტების გაერთიანება გეგმა 105,707 ლარი, ფაქტი 102,448 ლარი შესრულება 97%;

8) კულტურული ღონისძიებების ხელშეწყობა გეგმა 40,138 ლარი, ფაქტი 36,014 ლარი შესრულება 90%;

9) საზოგადოებრივი და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელშეწყობა გეგმა 10,599 ლარი ფაქტი 7,406 ლარი, შესრულება 70%;

10) საგამომცემლო საქმიანობა გეგმა 7,467 ლარი ფაქტი იგივე, შესრულება 100%.

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები დაფინანსდა 92 %-ით (გეგმა 201,685 ლარი, ფაქტი 185,653 ლარი), მათ შორის: 1) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება დაფინანსდა 22,578 ლარით, გეგმა 24,125 ლარი (94%);

2) სოფლის ამბულატორიების მომსახურება დაფინანსდა 975 ლარით, გეგმის 100%;

3) მარჩენა და კარგულ პირთა სოციალური დაცვა დაფინანსდა 450 ლარით გეგმის 100 %;

4) სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული სახლის მაცხოვრებელთა კომპენსაციის ხარჯი შეადგენს 4,000 ლარს (19 ოჯახი), გეგმა 7,075 ლარი შესრულება 57%;

5) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსდა 10,331 ლარით, გეგმა 12,250 ლარი, შესრულება 84 %, კერძოდ სოფელ უდაბნოდან ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო ტრანსპორტირება კვირაში ორჯერ 810 ლარი, იორმუდანლოში არსებული 1990 წლის 20 იანვარს და თბილისში 1989 წლის 9 აპრილს ორი ქვეყნის თავისუფლებისთვის მებრძოლთა სსოფნის მემორიალის შესამკობად დაეგმილი ღონისძიებისათვის გვირგვინების შესყიდვა 100 ლარი; საახალწლოდ პროდუქტების შექმნა სოც.დაუცველ მოსახლეობისათვის 9,421 ლარი (500 ოჯახი);

6) უმუშევრ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 93,342 ლარით, ბიუჯეტით გათვალისწინებული 96,495 ლარის 97 %-ით, კერძოდ, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარება გაცემულია 17,400 ლარი (გაცემულია 44 ოჯახზე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეთა მკურნალობა-რეაბილიტაცია დაფინანსდა 45,153 ლარით (102 მოქალაქე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეების მედიკამენტების დაფინანსებამ შეადგინა 21,714 ლარი (134 მოქალაქეზე). დაკრძალვის ხარჯი გაცემულია 2,100 ლარი (7 ოჯახზე); დიალიზზე მყოფი მოქალაქეების დახმარების ხარჯი 3,400 ლარი (17 მოქალაქე), სოციალურად დაუცველი მოქალაქეების ელექტროენერჯის ღირებულების ნაწილობრივი დაფარვის ხარჯი 675 ლარი (40 ოჯახზე), სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე ოჯახიდან წარჩინებული სტუდენტის სწავლის დაფინანსების ხარჯი 700 ლარი (2 ოჯახზე). ხანდაზმულ მოქალაქეზე გაიცა 2,200 ლარი (11 ხანდაზმული);

7) დედამით ობოლ ბავშვთა დახმარების პროგრამა გეგმა 1,500 ლარი, დაფინანსება 1,200 ლარი, შესრულება 80%, და ხმარება გაეწია 4 ბავშვს;

8) ახალდაბადებულ ბავშვთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1,800

მუნიციპალური გზები

საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

დასასრული

ლართ, შესრულება 100%, დახმარება გაეწეო ანოჯახს;

9) მარტოხელა დედების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 1,600 ლარით, შესრულება 100% (8 მარტოხელა დედა);

10) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 3,550 ლარით, გეგმის 100% (71 მოზარდი);

11) ხანდაზმულთა ცენტრის პროგრამა დაფინანსდა 2,912 ლარით, გეგმის 3,000 ლარის (97 %); 12) უმწვეთათვის უფასო სასადილო დაფინანსდა 42,915 ლარით, გეგმა 48,500 ლარი შესრულება 88% (220 ბენეფიციარი);

13) ვეტერანთა დახმარების და დაკრძალვის ხარჯები გეგმა 365 ლარი.

საგარეოს მუნიციპალიტეტის 2019 წლის პირველი კვარტლის ბიუჯეტით სარეზერვო ფონდიდან კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებებზე გამოყოფილია 187,250 ლარი, მათ შორის: ქ.საგარეოში, წერეთლის ქუჩა 52-ში მცხოვრებ ვლადიმერ ქელიძის საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის (180 მ2) აღდგენის მიზნით 16,450 ლარი; საგარეოს მუნიციპალიტეტის სოფლებში: ხაშმში, უდაბნოში, პატარძელსა (ე.წ. "აჭარლე ბი"-ს დასახლება) და კობაანში მ.წ. 20-21 თებერვალს სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების აღდგენის მიზნით 170,800 ლარი.

სხდომაზე წარმოდგენილი საკითხის ირგვლივ განხილვის საკითხად იქცა წყლის სისტემის რეაბილიტაციის, ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ღონისძიებები, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში მოხმარდა 29594 ლარი, რაც ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის 40 % -ია. (გეგმა 73802 ლარი). აღნიშნულ საკითხზე და ინფრასტრუქტურული საკითხების ირგვლივ საკრებულოს თავმჯდომარისა და დეპუტატების მიერ დასმულ შეკითხვებს პასუხი გასცეს საგარეოს მუნიციპალიტეტის მერის პირველმა მოადგილემ დეკანოვილია და მერიის მშენებლობისა და ინფრასტრუქტურის განყოფილების გამგემ ბექა ფეიქრიშვილმა.

ღმის წმინდის მისამამი საკითხზე
„საგარეოს მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საგარეოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 24 იანვრის №2 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ მომხსენება გააკეთა საგარეოს მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და ეკონომიკური განვითარების სამსახურის უფროსმა ბიორბი მურღოვანიძემ. მისი განმარტებით: საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხა და პრივატიზაციის გეგმა

1. საგარეოს მუნიციპალიტეტის

ბალანსზე რიცხული სოფ. კაკაბეთის ტერიტორიაზე მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობი 5952 კვ.მ. (მთლიანი საბაზრო ღირებულება 23808 ლარი) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა, ფართობი 1360 კვ.მ. საკ.კოდი: 55.07.59.039. (მთლიანი საბაზრო ღირებულება 40800 ლარი) პირობებიანი ელექტრონული აუქციონის ფორმა.

2. საგარეოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული სოფელ ჩაილურში მდებარე, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობი 845.00 კვ.მ. და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობა, გაშენების ფართობი 64.5 კვ.მ. (ყოფილი ბიბლიოთეკა), საკ.კოდი: 55.08.53.005. (საბაზრო ღირებულება 7000.00 ლარი). ელექტრონული აუქციონის ფორმა.

3. საგარეოს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, სოფელ უდაბნოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ფართობი 853.00 კვ.მ.) განთავსებული შენობა-ნაგებობა, ფართობი 396.00 კვ.მ. (ყოფილი ამბულატორია) საკ.კოდი: 55.20.51.060. (შენობა-ნაგებობის საბაზრო ღირებულება 800.00 ლარი).

4. ქ.საგარეოში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობი 24 კვ.მ. საკ.კოდი: 55.12.52.304. საბაზრო ღირებულება 2400.00 ლარი.

5. ქ.საგარეოში ერეკლე მეორის ქ 32-ში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, ფართობი 2359.00 კვ.მ. და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (1612.653 კვ.მ. 2-203.80 კვ.მ.). საკ.კოდი: 55.12.52.335. მთლიანი საბაზრო ღირებულება 96167.00 ლარი

ღმის წმინდის მართვის საკითხზე
„ქ. საგარეოში კახეთის ქუჩაზე მდებარე 7474.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: 55.12.76.294) თავისუფალი ფართი 145.10 კვ.მ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებითი სარგებლობის უფლებით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, 2 (ორი) წლის ვადით ა.ა.ი.პ „გეორგიანელი“-სათვის გადაცემის შესახებ“ მომხსენება გააკეთა გიორგი ქურდოვანიძემ.

საკრებულოს წევრებმა იმსჯელეს წარმოდგენილ საკითხებზე და მიიღეს შესაბამისი დადგენილებები.

საგარეოს მუნიციპალიტეტი

სოფელი წყაროსთავი



დასასრული

ის“ პროგრამით აქ მინი სტადიონისა და გარე განათების მოწყობა გათვალისწინებული. მაგრამ, მინი სტადიონის დასასრულდა კიდევ რამდენიმე ათეული ათასი ლარია საჭირო.

გარე განათებისთვის (ე.წ. „ბეჭეტანო უბანში“) დამატებით 1500 ლარია საჭირო. სოფლის ცალკეულ უბნებში საჭირო ხდება რამდენიმე ერთეული საყოფაცხოვრებო ნარჩენების კონტეინერების (ურნების) დამატება.

მოსახრეშია სოფლის შიდა გზები.

შექმნილია უკვე პოლიეთილენის მილები, რომლითაც სასმელი წყლის მაგისტრალია მოსაწყობი.



„ინფრასტრუქტურა 2019“

საგარეოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში, ე.წ ტურისუბანში დაიწყო სავალი გზისა და სანიაღვრე არხის სრული რეაბილიტაცია. გზის მოწყობის სამუშაოების პარალელურად მიმდინარეობს 1200მ სიგრძის სასმელი წყლის ამორტიზირებული მილების ამოცვლა.



განათლება

სიახლე

საუკეთესო შემოთავაზება კელაგოპიისთვის

დალი ოსუაშვილი საგარეო ურთიერთობების მინისტრის განყოფილებაში მისი თანამდებობების „ნუსხა“ შეიქმნა ვინმეს უცნაურად მოხერხებულს, მაგრამ ახალგაზრდა, ენთუზიაზმით სავსე ავღანეთის ველაგოპიის პოლიტიკა, რომ იტყვიან დიდი შრომით, რუღუნებით და შემართებით აქვს მოპოვებული. აი, ისინი:



1. არაქართულენოვანი სკოლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის პროგრამა. ტრენერ-კონსულტანტი.

2. „ახალი სკოლის მოდელი“ განათლების ექსპერტი. ქოჭი

3. მასწავლებელთა და სკოლის დირექტორთა პროფესიული განვითარების პროგრამა. ტრენერი

4. სსიპ-საგარეო ურთიერთობების მუნიციპალიტეტის სოფელ იორმუდან-ლოს საჯარო სკოლა. ქართული ენის კონსულტანტ-მასწავლებელი

დალი მასწავლებელს ამ დღეებში შეხვდით და სულ რამდენიმე შეკითხვით მიემართეთ, თუმცა თავდაპირველად მხოლოდ ერთ კითხვაზე გვინდოდა მისგან პასუხი – განათლების სამინისტროს მიერ სულ ახლახანს გამოქვეყნებული რეფორმის თაობაზე...

დალი, საიდან იწყება შენი პედაგოგიური ცხოვრება?

– 1992 წელს დავამთავრე საგარეო ურთიერთობების სახელმწიფო უნივერსიტეტში ქართული ფილოლოგიის ფაკულტეტი. 1993 წლიდან მუშაობა დავიწყე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. აქედან იწყება ჩემი პედაგოგიური გზა.

როგორია შენი პედაგოგიური „მიღწევები“?

– 2010-2-011 წლებში გავხდი სერტიფიცირებული მასწავლებელი ქართული ენის სამივე საფეხურზე (ქართული I-VI; ქართული VII-XII და ქართული, როგორც მეორე ენა). 2014 წელს ჩავაბარე სკოლის დირექტორთა სასერტიფიკაციო გამოცდა და მომენიჭა დირექტორობის დამადასტურებელი სერტიფიკატი, თუმცა დირექტორობის სურვილი არასდროს მქონია. ვფიქრობ, რომ ამ ეტაპზე, სკოლაში, როგორც მასწავლებელი, ბავშვებისთვის უფრო მეტს და სასარგებლოს ვაკეთებ.

როგორც ვიცი, შენ სხვადასხვა პროექტის მონაწილე ხარ. მოკლედ რომ გვითხრა ამის შესახებ?

– 2010 წელს საქართველოს მასშტაბით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოაცხადა კონკურსი არაქართულენოვან სკოლებში კონსულტანტ-მასწავლებლის პოზიციაზე. კონკურსის მიზანი იყო ქართული ენის სწავლების გაძლიერება ეთნიკურად არაქართულენოვან სკოლებში. კონკურსის შედეგად სულ 11 მასწავლებელი შეირჩა და ამ რჩეულთა შორის აღმოვჩნდი მეც. სამინისტრომ მარნეულის მუნიციპალიტეტის საზღვრისპირა ერთ-ერთი სოფლის სკოლაში გამანაწილა. მე ვიყავი ერთადერთი ქართველი ამ სოფელში. თავდაპირველად ცოტა გამიჭირდა უცხო გარემოში, განსხვავებული ეთნო-კულტურული ღირებულებების მქონე ხალხთან ცხოვრება, მაგრამ მალევე მოიხსნა ჩემს შორის ყველანაირი ბარიერი და მალე „დალი ხანუმი“ გავხდი... ეს ჩემი პიროვნების ძალიან დიდი აღიარება იყო... „ხანუმი“ მიმართვა უდიდეს პატივისცემას და კრძალვას გამოხატავს და ეს იყო ყველაზე დიდი ბედნიერება ჩემთვის, რომ მოკლე დროში მე მათი გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დავიმსახურე. 2012 წლიდან საგარეო ურთიერთობების სოფელ იორმუდან-ლოს განათლების სამინისტრომ ქართული ენის სახლი გახსნა, რომლის მიზანი თემში ნებისმიერი მსურველისთვის, მიუხედავად ასაკისა და საბაზისო ცოდნისა, ქართული ენის შესწავლა იყო. სამინისტრომ, როგორც წარმატებული მასწავლებელი, მიმავლინა „ენის სახლში“ ტრენერ-კონსულტანტად... შემდეგ ქართული ენის კონსულტანტ-მასწავლებლის პოზიციაზე გავაგრძელე პროფესიული საქმიანობა იორმუდან-ლოს საჯარო სკოლაში.

2018 წლიდან ვარ ათასწლეულის გამოწვევის ფონდისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ერთობლივი პროექტის „სკოლის მასწავლებელთა და დირექტორთა პროფესიული განვითარება“ ტრენერი პროფესიული უნარების მიმართულებით; 2019 წლიდან ვარ პროექტის „ახალი სკოლის მოდელის“ ექსპერტი.

– როგორც განათლების ექსპერტი, იქნებ ორივე სიტყვა გვითხრა იმ რეფორმების შესახებ, რომელსაც ამ ბოლო პერიოდში ახორციელებს განათლების სამინისტრო.

– მინდა გითხრა, რომ განათლების სამინისტრო ახალ ეტაპზე გადავიდა და ამის დასტურია მის მიერ დანერგილი და განხორციელებული მნიშვნელოვანი რეფორმები. ვგულისხმობ „ცვლილებებს, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის“ ფარგლებში. კერძოდ: საპენსიო ასაკის დეფლმოსილ პედაგოგებს, რომელთაც არ ექნებათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურების, სტატუსის ამაღლების და შესაბამისად პროფესიული საქმიანობის გაგრძელების სურვილი, ეძლევათ პრივილეგია მათი ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე 2019 წელს სახელმწიფოსგან მიიღონ ერთჯერადი ფულადი ჯილდო - ორი წლის ჯამური ხელფასი. ამასთან, შეუნარჩუნდებთ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში (საჯარო სკოლების მასწავლებელთა ჯანმრთელობის სადაზღვევო ვაუნერის პირობების შენარჩუნებით). ახვევ, 2019 წლის სექტემბრიდან უფროსის, წამყვანის ან მენტორის სტატუსის მქონე ყველა მასწავლებელს ანაზღაურება 150 ლარით და მეტი გაეზრდება. ხელფასის ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის პედაგოგის საშუალო ანაზღაურება 1500 ლარს და მეტს გაუტოლდება. ეს საუკეთესო შემოთავაზებაა პედაგოგებისთვის, რომელსაც განათლების სამინისტრო სთავაზობს მათ.

– რას აკეთებ თავისუფალ დროს და ორივე სიტყვა შენს პოზიციას რომ გვითხრა: – ამ ბოლო დროს თავისუფალი დროთიქმის აღარ მრჩება. განსაკუთრებულად დატვირთული მაქვს ეს პერიოდი. ვატარებ უამრავ ტრენინგს, ვხვდები მასწავლებლებს და ვუწევ კონსულტირებას მათთვის საინტერესო და საჭირო საკითხებთან დაკავშირებით. ძალიან მიყვარს მოგზაურობა და წიგნების კითხვა და ვცდილობ, როგორც კი მომეცემა დრო, ნაყოფიერად გამოვიყენო... ახლა ვკითხულობ 2019 წლის ლიტერატურული კონკურსის „გახდი ბეტსელერის ავტორი“ ერთ-ერთ გამარჯვებულ წიგნს. ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება მუსიკის გარეშე და ყველგან ვუსმენ ჩემს საყვარელ კომპოზიციებს.

და ბოლოს, შენი სამომავლო გეგმები...

– ამჟამად ვარ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი ქართული ენათმეცნიერების მიმართულებით და ვმუშაობ დისერტაციაზე. დისერტაციის დაცვის შემდეგ ვაპირებ სწავლა გავაგრძელო მაგისტრატურაში ფსიქოლოგიის მიმართულებით.

რაც შეეხება პოზიციას: ძალიან მიყვარს ფოტოების გადაღება და მინდა ფოტოგრაფიით სერიოზულად დაკავდეთ.

ანაზღაურება იზრდება

2019 წლის სექტემბრიდან უფროსის, წამყვანის ან მენტორის სტატუსის მქონე ყველა მასწავლებელს ანაზღაურება 150 ლარით და მეტი გაეზრდება. ხელფასის ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის პედაგოგის საშუალო ანაზღაურება 1500 ლარს და მეტს გაუტოლდება.

პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომლებიც 2019 წლის საფხულში დადასტურებენ მინიმალურ კომპეტენციას და ამაღლებენ სტატუსს, ასევე მიიღებენ გაზრდილ ანაზღაურებას ახალი სასწავლო წლის დადგომისას, 2019 წლის სექტემბრიდან.

პრაქტიკოსი მასწავლებლებს, რომლებსაც უფროსი მასწავლებლის სტატუსის მისაღწევად მოთხოვნები ნაწილობრივ აქვთ შესრულებული, მიეცემათ შესაძლებლობა, ამაღლონ სტატუსი დამატებითი კრედიტულების მოპოვებით 2019 წლის ბოლომდე. მხოლოდ ამის შემდეგ მიიღებენ გაზრდილ და მზარდ ანაზღაურებას.

მასწავლებლის სურვილის შემთხვევაში, პედაგოგების საჭიროებებიდან გამომდინარე, სახელმწიფო იზრუნებს პრაქტიკოსი საფეხურის მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე შესაბამისი გადამზადების პროგრამებით და ამის შემდგომ, განმეორებით მისცემს მათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურების და სტატუსის ამაღლების შესაძლებლობას 2019 წლის შემოდგომაზე.

ყველა ის პრაქტიკოსი მასწავლებელი, რომელიც 2019 წლის ბოლომდე ვერც ერთი შესაძლებლობის ფარგლებში ვერ დადასტურებს მინიმალურ კომპეტენციას და ვერ ამაღლებს სტატუსს, შეძლებს პროფესიული საქმიანობის გაგრძელებას სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე - დროებითი ხელშეკრულების საფუძველზე ხელფასის შენარჩუნებით.

საპენსიო ასაკის დეფლმოსილ პედაგოგებს, რომელთაც არ ექნებათ მინიმალური კომპეტენციის დადასტურების, სტატუსის ამაღლების და შესაბამისად პროფესიული საქმიანობის გაგრძელების სურვილი, ეძლევათ პრივილეგია მათი ნებაყოფლობითი არჩევანის საფუძველზე 2019 წელს სახელმწიფოსგან მიიღონ ერთჯერადი ფულადი ჯილდო - ორი წლის ჯამური ხელფასი. ამასთან, შეუნარჩუნდებთ ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტი მთელი სიცოცხლის განმავლობაში (საჯარო სკოლების მასწავლებელთა ჯანმრთელობის სადაზღვევო ვაუნერის პირობების შენარჩუნებით).

სახელმწიფო ზრდა ასევე შეეხება რესურსცენტრების, სკოლების დირექტორებს და ადმინისტრაციის თანამშრომლებს.

თვალსაზრისი

„ეშურაღლება, დაფასება და აღიარება“

თამუნა ტოპეშვილი ჩვენი გაზეთის მკითხველისთვის უკვე ნაცნობი პიროვნებაა - წარმატებული მასწავლებელი, წარმატებული შეილის დედა. თამუნა საგარეო ურთიერთობების სამინისტროს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელია. დღეს თავის მოსაზრებას გვიზიარებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის მინისტრის მიერ ახლახანს წარმოდგენილი პროექტის შესახებ სექტემბრისთვის გათვალისწინებული სახელფასო დანამატების გაზრდის ინიციატივასთან დაკავშირებით.



მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის ამოქმედებიდან მასწავლებლების მხრიდან მუდმივად იყო სურვილი და სწრაფვა წინსვლის, რაც განპირობებული იყო პროფესიული განვითარების სურვილითა და ფულადი დანამატის გაზრდის ინტერესით, რდგან გაზრდილი სახელფასო დანამატი მნიშვნელოვანი გარეგანი მამოტივირებელი ფაქტორია. დიდი სიხარულით მივესალმები საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ინიციატივას, რომელიც ითვალისწინებს 2019 წლის სექტემბრიდან უფროსის, წამყვანის ან მენტორის სტატუსის მქონე ყველა მასწავლებლის ანაზღაურების ზრდას 150 ლარით და მეტი და მოხარული ვარ, რომ, როგორც ბატონმა მინისტრმა აღნიშნა, ხელფასის ზრდა ყოველწლიურად გაგრძელდება და 2022 წლისთვის პედაგოგის საშუალო ანაზღაურება 1500 ლარს და მეტს გაუტოლდება.

ვფიქრობ, ეს ნაბიჯი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მასწავლებლის, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო პროფესიის პოპულარიზაციასა და სწავლების ხარისხის გაზრდას, რდგან მატერიალურად უზრუნველყოფილი პედაგოგი გაცილებით უფრო მოტივირებული და თავისუფალი იქნება პროფესიაში, თვითრეალიზაციის წინაპირობა, ხომ ყურადღება, დაფასება და აღიარებაა. დაფასებული მასწავლებელი კი ორიენტირებული იქნება, შექმნას და გააკეთოს გაცილებით მეტი მომავალი თაობების სწორად ფორმირებისთვის.

„ბოლო ზარი“ დაიკაჟა



17 მაისი ოჯახის სინდრომის დღა! რა იყო მიზეზი ბახტრიონის აჯანყებისა

დღეს ერის „სექსუალურ განათლებას“ და გათვითცნობიერებაზე „გომითა“ ნათელ სამყაროში „გამოყვანა-განათლებაზე“ მზრუნველი ადამიანები არად ავლენენ ჩვენი ერის ღირსებას, კულტურას, წეს-ჩვეულებებსა და საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებულ ადათებს, ტაბუდადებულ, ადამიანისათვის მიუღებელ ქმედებებს. სწორედ ამ ტაბუდადებულ ქმედების, მისი ქართული სულიანობის მიუღებლობის გამო შემატყვევებთ თუ ისტორიამ ოდნავ „გააბუნდოვნა“ ბახტრიონის აჯანყების ნამდვილი მიზეზი. ის კი არა, „მღვდლის ეპიზოდი“ ზოგიერთი მკვლევარის ნაშრომში გამოტოვებულიცაა და მიზეზი არ იკითხავთ, რა არის? – ჯერ ქართველების მიდგომა მამათმავლობის მიმართ და შემდეგ კომუნისტების იდეოლოგია.

– მიუხედავად აჯანყების ისტორიის, რომელიც 1659 წელს მოხდა. ბერი ეგნატაშვილის თქმით: „ამოსწვევით და მოსრეს ბახტრიონის ციხეში მდგომნი ელნი და რაც იყვნენ, მიჰყვანენ იქამდე ხოცით, ჩავიდნენ ალავერდს და, რომელიცა მუნ იყვნენ, თათარნი და ელნი, რაც ესახლა, ყველა მოსრეს პირითა მახვილითა და ამოსწვეიდეს დედაწულითურთ და, აკვნაში რომელიცა ყრმანი იყვნენ, იგინიცა დახოცნეს, სადაც კახეთს თათარი და ელი ესახლა, ყოველივე ამოსწვეიდეს“.

„მიუხედავად პირველად ბახტრიონის, მოსრეს და ამოსწვეიდეს თათარნი, მერმე ალავერდს და შემდგომად ყოვლისა კახეთსა შინა მოსწვეიდნენ, რამეთუ არც ალათუ დაუტყვეს აკუნათა შინა მწოვარნი“ – ამბობს ვახუშტი ბაგრატიონი.

ისტორიამ და საქართველოს ისტორიით დაინტერესებულმა პირებმა იცინან, რომ ქართველები მხოლოდ თავდაცვით ომებს აწარმოებდნენ, მათ ბუნებაში არასოდეს ყოფილა სხვისი მიწების დაუფლების, დაპყრობის სურვილი... თუმცა, იყო ომები, რომლებიც წართმეული, საქართველოს კუთვნილი მიწების დასაბრუნებლად ხდებოდა, ან მას საღამსჯელო ხასიათი ჰქონდა.

ბახტრიონის აჯანყების დროს კი ქართველებმა – ერთად გაერთიანებულმა კახეთმა, ქსნისხეობებმა, ფშაველებმა, თუშებმა, ხევსურებმა, არაგველებმა წულიანად, ერთიანად ამოხოცეს და აკვნაში მწოლიარე თათარნი არ დაინდეს. საოცარია, საქართველოს ისტორიას არ ახსოვს ქართველთა ასეთი გაბოროტება, დაუნდობლობა(!..).

მიზეზი?! თურქმანებისგან შეურაცხყოფილი ის ხუცესია, რომელიც დუშეთს ეახლა ზაალ ერისთავს, დაუწოქა და შესწივლა: „გააოხრეს სრულიად ურჯულოთა აგარიანთა... და ან ამისი მაგიერი პასუხი ღმერთს შენ მიეც და შენ უნდა გასცე, ვინაითაგან შენდა რწმუნებულ არს კახეთი...“

ხუცესს თათრებმა ცუდი საქმე შეამთხვიეს, ბერი ეგნატაშვილის თქმით: „მაშინ მგზავრი ვინმე ერთი კახელი მარტო მივიდოდა გზასა თვისსა კახეთში, ხოლო დამხმევით შეემთხვივნეს გზაზედა მღვდელსა მას თათარნი როდენიმე და შეიპყრეს უსჯულოთა მათ ხუცესი იგი მტერთა მათ და მოშურნეთა ქრისტეს სჯულისათა, შეკრეს ხუცესი იგი და მძლავრებითა და შეამთხვიეს საქმე სიბღღვისა, რომელ არს ცოდვა სოდომური და განუტყვეს. ხოლო წარვიდა ხუცესი იგი და მივიდა დუშეთს. ზოგად ისხდნენ ზაალ ერისთავი და ცოლი მისი, დაუწოქა ხუცესმა და შესწივლა: – შენ ზაალ ერისთავი ხარო და კახეთის გამგებელი, გააოხრეს სრულიად კახეთი უსჯულოთა და აგარიანთა და მე გზაზედა შემიპყრეს და შეამთხვიეს საქმე უშვერი... ხოლო, რა ესმა საქმე ესე ზაალ ერისთავსა, დიდად მწუხარე იქმნა...“

სწორედ თათრების ამ არაკაცურმა საქციელმა გაამწარა ქართველობა და წინ რაც შეხვდა, ყველაფერი გაანადგურა, ცოცხალი არ გაუშვა არავინ.

„სექსუალური თემბაკით დაკავებულმა ქართველმა იქნებ არც კი იცის, რომ ქართულ სულიერებაში, ცნობიერებაში არსად არ არის აღწერილი მამათმავლობა და მამათმავლები... და ეს მაშინ, როცა ყველა სხვა საინტერესო თემაა გაშუქებული – სიკეთე და ბოროტება, მათი ურთიერთკავშირი და ურთიერთწინააღმდეგობა, ვაჟკაცობა და დაღალბი, ქურდობა და მრუშობა, კეთილშობილება და ქედმაღლობა, სიმამაცე და ლაჩრობა, ავი და კარგი... მაგრამ ქართველმა „ციხფერის“ – მამათმავლის სული არც ახსენა და არც ახსენა...“

თუმცა, თუ ვინმე შემომედავება, მხოლოდ ერთ ეპიზოდს შევასხენებ ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხიდან“ – ციხის ეპიზოდი. ამით ჭაბუა ამირეჯიბმა საბჭოთა ყოფა და ციხე აღწერა, სხვაანირად ხომ რეალობას მოსწვევდებოდა...

დავით ბაკრაჯის აქციის მხარდასაჭერად

11-12 მაისს, დავით ბაკრაჯის სამონასტრო კომპლექსის ტერიტორიების ახერბაიჯანელ მესახ დვრეთა უკანონოდ დაკავების ქართველი მოსახლეობის საპროტესტო აქციის მხარდასაჭერად მთაში მოსიარულე ცხენოსანთა კლუბ „ხედახენის“ (დორექტორი ნუგზარ გიორგვილი) და ახმეტის საცხენოსნო კლუბ „ჯარდის“



(დორ. იმედა სისაური) ორგანიზებით მოეწყო ორდღიანი საცხენოსნო გადარბენი, რომელიც დაიწყო საგარეჯოს რაიონული ცენტრიდან, ციფკომბორის გადავლით და ახმეტის ყოფილი აეროდრომის ტერიტორიაზე დასრულდა. გადარბენაში მონაწილეობდნენ თბილისის, თუშეთის, პანკისის, თიანეთის, სტეფანწმინდის და სხვა მხედრები.

საგარეჯოს ცენტრში სპეციალურად მოწყობილი სცენიდან საზეიმო მარშის თანხლებით ცხენოსანთა ჯგუფს სიტყვით მიმართა და საპროტესტო აქციაში მხარდაჭერისათვის მიმართა გადაუხადა და ცხენოსნებს მშვიდობიანი მგზავრობა უსურვა **საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ ალექსი ბილაშვილმა**.

საზეიმო მსგეველობა, რომელიც დავით ბაკრაჯისა და ასევე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად გაიმართა დასრულდა “მარულაით”, რომელიც შუამთა-ახმეტის მონაკვეთზე გაიმართა.

ბიჭო ლაბახიშვილი

რუის-ურბნისის სამკლესიო კრების კეზლისწერა

შეიკრიბა აფხაზთა, ქართველთა, რანთა და კახთა მეფის დავით აღმაშენებლის ბრძანებით 1105 წელს. თავი 18 [სოდომის შესახებ]

– ღმრთის გამამწარებელი უბილწესი საძაგლობა, სოდომელთა ცოდვა, არ ვიცით, როგორ შეეთვისა ამ მოდგმას. მან სულ ჩამოაშორა იგი და გააუცხოვა ღმერთისაგან. ვისთანაც მან განსასვენებელი პოვა, მათთვის ვადგენთ შემდეგს: მრავალგზის, მრავალი მოდგმის მიერ მრავალი და ურიცხვი ცოდვა ყოფილა ჩადენილი, როგორცა: მტრობა, შური, სიძულვილი, კაცისკვლა, მრუშობა, ცრუფიცობა, ბოლოს ყოველი ბოროტების საწყისი - კერპთმსახურება და თაყვანისცემის გადატანა დაბადებლიდან დაბადებულთა მიმართ. მაგრამ არც ერთი ამთავანის გამო არ აღლევებულა აუღლევებელი ღმერთი, როგორც თვითონ უთხრა აბრაამს: „სოდომისა და გომორის დაღადება მოვიდა ჩემამდე და ჩამოვედი სანახავად, არის თუ არა მათი დაღადების-ამებრ მათი საქმეები“ (დაბ.18,20-21). ამის შემდეგ ნახეთ, თუ რა მოხდება! კაცთათვის ღმრთისაგან სამსახურებლად განჩინილი ნივთები თავისი ბუნების საწინააღმდეგოდ როგორ შეიცვლიან ბუნებრივ ძალას და უცხო ცოდვის აღსაგველად უცხო ქმედების უნარს შეიძენენ: მუდამ აღმა მოძრავი ეთერის ცეცხლის მსუბუქი ბუნება როგორც რაღაც სქელი და მძიმე, დაღმა ჩამოედინება და მძაფრი წვიმის საწინააღმდეგოდ რაღაც, გოგირდთან არეული, რათა დაფერფლოს მრავალი ადამიანის უკეთური სიბილწე, ხოლო ჰაერის ნაზი, თხელი და უფერული ბუნება, რომელიც ცოცხალ არსებათა სუნთქვისა და სიცოცხლის მიზეზია, შეიცვლის თავს ხშირი აღმურის სისქედ, ხელით საძიებელი სიბუნელის ფერად და დამახრჩობელ კვამლად, ნიშნად რისხვისა. ამასთან ერთად მიწა - მყარი, მტკიცე და მასზე დამყარებულ სხეულთა მტვირთველი, ვეღარ იტვირთავს მათ საძაგულ სიბილწეს, პირველად შესძრავს თავის საფუძველს, სიღრმეიდან ამოდუღებულ პაერთი ალიტანს თავისი სიმტკიცის საფუძველს და მიწაში ჩააქცევს მათი მძალი კოშკებისა და ტაძრების სიმაგრეს. შემდეგ გააღებს მანამდე გაუღებელ პირს და ჩაყლაპავს არა არსებებს, არამედ უკვე დამწვარ ძვლებსა და ოდესღაც ადამიანად ყოფილ რაღაც საწვალბულ ნეშტებს. წყალიც უცხოდა და შეცვლილად გამოიყურება მათთვის და აღარ არის შეუბის მომგვრელი და მოსახმარი. იგი მათი ნეშტის აღსახოცავად მოედინება მათეული ქვეყნის მიწაზე უფრო კი მათ საფლავად ქმნილ ჯოჯოხეთზე, ისე შეცვლილი ბუნებით სხვა წყლებისგან, როგორც ისინი აჭარბებენ სხვა ადამიანებს წრეგადასული სიბილწით. ამ ურჯულოებამ უმრავლესი ქვეყნების დამყრობელი ასურასტანელთა სამეფო სპარსთა და მდითა ტყვედ აქცია და სრულიად აღმოფხვრა სახსენებელი არა მხოლოდ მეფისა და ძალაუფლების მქონეთა, არამედ საერთოდ მათი კაცობისა. ამ ცოდვამ სომეხთა დიდი და მსოფლიოს ყველა მხარეში ხმაგავარდნილი მოდგმა, მათი სამეფოთი და მოაგრებით, არა მარტო დაამხო და დაამდაბლა, არამედ სულ მოსოხ კაცთა შორის მათი სახელი. დღეს ვერ იპოვი მათ შორის ვერც მეფეს და ვერც მოავარს, რომელსაც დაუმონებელი თავისუფლება ჰქონდეს, მთელი დედამიწა რომ მოიაროთ. ამ სიბილწემ სპარსელთა მძალი და რომის სამეფოს მარად მოწინააღმდეგე სამფლობელო მხეციც ბუნების მქონე ავაზაკი კაცების თავდასხმებით მიწამდე დაამდაბლა და აქამდე მათი ძალადობის ვიტილიად დაცოვა.

არ ვიცით, თუ საიდან შემოადწია ამ უკეთურებამ ქრისტეს მოღვაწედ სახელდებულ ერში: „რაი ზიარება იყო ბელარიისი ქრისტეს თანა?“ (II კორ.6,15), რომ უცხო ტომთა ხელში ჩავარდნით და მათი მახვილის მოქმედებით ისრაელის ნეშტიდა დაგვნა. თუ დაერწით იმავე უკეთურებაზე, ვაი ჩემდა, თუ დავედმდი და აღარ ვთქვი ეს ძნელი სათქმელი, ყველასთვის რომ ცხადია. ჩვენც ხომ უნდა მოვერდილოთ მას. ამისთვის ვამცნებთ ყველას - დიდსა და მცირეს, მდიდარსა და ღარიბს, მეფესა და მოავარს, აზნაურსა და მდაბოს, მღვდელსა და არამღვდელს, მოწესესა და ერისკაცს, მოხუცს, ახალგაზრდას და შუახნის კაცს, ყველა თანამდებობას, დასს, ჯგუფს, ყველა ასაკს - განუდგეს ამ ყველა ვნებაზე უფრო საძაგულ სიბილწეს და ასე განვაბტყვიებთ ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს სახელით: ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს, ამ სიტყვათა მსმენელ სულს, რომელიც ამ ძველის წაკითხვის შემდეგ არათუ მარტო არ მიატოვებს სოდომური ცოდვის სიბილწეს და საქმით არ მოიშორებებს ამას, არამედ თუნდაც ხუმრობით და სიტყვით იტყვის რაღაც საამისოს, ამის გამომხატველ და მიმსგავსებულ სიტყვას და საქმეს წარმოაჩენს, უთუოდ თავს დაატყვევებ და საწუთროში საშინელება და ცოცხლად ჯოჯოხეთში ჩამედები რისხვა, გოგირდში არეული სოდომური ცეცხლის მსგავსად. ხოლო იმქვეყნად ამ ცოდვის ჩამდენს მიიღებს იგი, ვინც დადის უფლის წინაშე და სწავს ირგვლივ ღმერთის მტრებს. ხორცის სიყვარული ღმრთის მტრობაა და ვინც გახრწნის ღმრთის ტაძარს, მას ღმერთი გახრწნის. ამასთან ერთად ჩვენგან, საღმრთო მონობის ღირსქმნილი უღირსი მონებისაგან, ვაი ჩვენდა, ისინი დაიმკვიდრებენ არა კურთხევას, არამედ საუკუნო შერცხვენასა და მხილებას.

„ჩვენ **ირაკლი მეფემან**, მკვრობელმან ქართლისა და კახეთისამან, ნება-ყოფლობითა სრულ ერთიანად ჩვენის ქვეყნების თავადთა, აზნაურთა, დიდ-ვაჭართა და გლეხთა: ღვთის მოწყალეობით ამას ზედა დიად გულდაჯერებულ ვართ, რომ ჩვენს ქვეყანაში არც ყოფილა და არც არის ამისთანა ავნი და ღვთისგანმარისხებულნი საქმენი, მაგრამ ჩვენს ხალხს ვაბრთხილებთ: თუ ვინმე ამისთანა საქმის მქნელი გამოჩნდეს - ან მომწამლენი, ან კაცის შემკრენი, ან სიყვარულის და სიძულვილის წამლის მიმცემნი, ან ღვთის დიდად განმარისხებლისა და მიუტყვევლისა ფინთისა და მყარლისა და ცეცხლით საუკუნოდ მწველისა მამათმავლობის მქმნენი, მამალნი ანუ დედალნი, ესენი უნდა ძალიან და საანდაზო ჯაჯაებით (ჯაჯა - დამნაშავე კაცის ტანჯვა-წამება) დაიხოცნენ“.

1767 წელი.

- ვიღაც იოანე ოძროპირი მამათმავლობის შესახებ:

„...უკეთესია სიკვდილი, ვიდრე ასეთი სიბილწით ცხოვრება. მკვლედი სულსა და ხორცს გაპყრის ერთმანეთისაგან, მამათმავალი კი ღუპავს როგორც სულს, ისე სხეულს. არ არსებობს ცოდვა, რომელიც ამ უსჯულოებას შეედრება და მასში მყოფნი ამ ცოდვის სიმძიმეს რომ აცნობიერებდნენ, ამ სისაძაგულში ჩავარდნას მრავალგზის სიკვდილს არჩევდნენ“

„ცხოვრების ერთადერთი ღირებულება ოჯახია. როგორც კი ოჯახი დაიღუპება, დაიღუპება მთელი სამყაროც... როდესაც დაირღვევა ოჯახი, დაირღვევა ყველაფერი: სასულიერო იერარქიაცა და მონაზვნობაც...“

ვიღაც კაისი ათონელი

სპორტი

მეტყველან ფალავანს გული კვლავ ჭილაობისკენ მიუწევს



ანთოპელი ფალავანის, სამბოში, ძიუდოსა და ქართულ ჭილაობაში საქართველოს ჩემპიონის, სსრკ შეიარაღებული ძალების ჩემპიონის, სპორტის ოსტატ ტარიელ ჯგაგანიშვილის სახელი კარგადაა ცნობილი გარეჯელი ჭილაობის ქომბეგებისა და გულშემბეკიერებისათვის. ჩვენი რაიონის ამ უღამაზეს სოფელში იგი 1966 წელს დაიბადა და ვინაიდან ანთოპში სასწავლო დაწესებულება არ იყო, მშობლებმა სასწავლებლად გიორგიწმინდის საშუალო სკოლაში შეიყვანეს. ვისაც კი ცოტაოდენი წარმოადგენს აქვს ანთოპის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, ეცოდინება, რამხელა გზის გაგლა უწევდათ პატარა ტარიელს და მის თანატოლებს ფეხით ანთოპიდან გიორგიწმინდამდე და

სკოლიდან სახლამდე. ამხანაგებისაგან განსხვავებით, ტარიელს ამ გზის გაგლა დღეში ორჯერ უწევდა – დილით სკოლისაკენ, საღამოს უკვე გიორგიწმინდის საჭილაო დარბაზისკენ, სადაც გარეჯელი „ძიუდოს პაპის“ ბიჭიკო მარიდაშვილის ხელმძღვანელობით ეუფლებოდა ჭილაობის საიდუმლოებებს.

– დღეისათვის ანთოპიდან პატარები გიორგიწმინდაში სასწავლებლად სპეციალურად გამოყოფილი მიკროავტობუსით გადაჰყავთ, – ტარიელი. – ჩემს დროს კი ამის საშუალება

სად იყო, ბავშვებს ფეხის გულები გვეტილიდა მოხრეშიდ გზაზე სიარულით. ახლა რომ ეხვეწო და საჩუქრებსაც შეპირდებ ვინმეს, ფეხით არავინ წავა გიორგიწმინდაში. გაზარდაცდა ხალხი, ახალგაზრდობა. ინტერნეტმა და მობილურმა ტელეფონებმა ხალხი ერთმანეთს დააშორა და ვაჟკაცურ საქმეებსაც, ჩემს პატარაობაში კი სხვანაირად იყო და ალბათ ესეც დამეხმარა იმ წარმატებების მიღწევაში, რისთვისაც კი ოდესმე მიმდევრია ჭილაობაში. სხვებისათვის თუ ამ გზაზე სიარული მოსახერხებელი იყო, ჩემთვის საუკეთესო ვარჯიში იყო. მაგრამ მოზარდი თავისით ისე ვერაფერს მიაღწევს, თუ არ ჰყავს სათანადო მწვრთნელი და მასწავლებელი. მწვრთნელი პირველ რიგში თავად უნდა იყოს მომზადებული იმისათვის, რომ აღსაზრდელს შეაყვაროს სპორტი, ვარჯიში. ის კარგად უნდა ერკვეოდეს ბავშვის ფსიქოლოგიაში, მის შესაძლებლობებში, რომ სწორად შეარჩიოს ვარჯიში და სპორტის სახეობაც. თუ მწვრთნელს 1-2 წლის მუშაობის შემდეგ შედეგი არ აქვს, ის თავისით უნდა წაიდექს, ან გაუშვან მწვრთნელობიდან.



მოზარდის სპორტსმენად ჩამოყალიბებაში დიდი მნიშვნელობა აქვს სხვადასხვა შეჯიბრებებში მის ხშირად მონაწილეობასაც, რაც საუკეთესო საშუალებაა სპორტული გამოცდილების მიღწევისათვის.

არ მინდა სხვანაირად გამოვს ვინმემ, მაგრამ ადრე ხელშეწყობაც უკეთესი ჰქონდათ მოზარდ სპორტსმენებს, ისე ფინანსდებოდა ტურნირებში მათი მონაწილეობა, რომ ოჯახი ვერ იტყობდა ამას, ხშირად ეწყობოდა დასასვენებელი შეკრებებიც. ახლა კი, ცოტა არ იყოს, გაძნელებულია ეს საქმე.

– თუ არ გვცდები, თქვენ მზატე წონაში ჭილაობით, არა?
– ძირითადად მე 60 კგ წონით კატეგორიაში ვჭილაობდი ძიუდოში, სამბოში – 62 კგ-ში. ხშირად გამოვდიოდი რაიონულ პირველობებში და ვიღებდი I ადგილებს. ვარ 1986 წელს საგარეჯოში გამართული არსენ მეკოკიშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჩემპიონი ჭილაობა სამბოში, რაც ფინალურ შეხვედრაში მაიკოპელ ატლერთან მოვიპოვე. ასევე, ხშირად ვმონაწილეობდი საკაეშირო დონის შეჯიბრებებში და ვიღებდი სხვადასხვა ადგილებს. ვარ სპორტის ოსტატე სამბოში, ძიუდოსა და ქართულ ჭილაობაში.

– ახლა თქვენ 53 წლის ბრძანდებით და როგორც ჩანს ჭილაობას ვერ ეღვივით. ახლანდ თქვენ გახდით საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა შორის ძიუდოში გამართული ტურნირის ჩემპიონი. რამ გადაგაწვევტინათ აღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღება და როგორ მიაღწიეთ ამ შედეგს?

– ამ ტურნირისათვის მე ადრედახვევ ვემზადებოდი, ვვარჯიშობდი, თუმცა, სიმართლე გითხრათ, ვმრომობდი ფიზიკურად, რაც იგივე ვარჯიშის ტოლფასია. ისე, ადრე ქართულ ჭილაობაში გამართულ მსგავსი დონის შეჯიბრებებშიც მივიღე მონაწილეობა და იქაც ჩემპიონი გავეხდი. ამას გარდა, მე შემიძლია (თუ სათანადო სახსრები გამოიძებნა) მონაწილეობა მივიღო იენისში, ესპანეთში დაგვემდ ვეროპის ვეტერან სამბისტთა ასპარეზობაში, სექტემბერში კი უკვე მსოფლიო პირველობა ჩატარდება.

– როგორც ვიცით, თქვენ ძალიან სტრუქტურებში გიწვევდათ მუშაობა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ომებშიც გაქვთ მიღებული მონაწილეობა. ამჟამად რას საქმიანობთ?

– საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ვმუშაობდი მწვრთნელად გიორგიწმინდის საჭილაო დარბაზში, შემდეგ კი ბიჭიკო მარიდაშვილის რჩევით სამუშაოდ გადავედი პოლიციაში, სადაც შედარებით მაღალი ანაზღაურება იყო. ვიყავი სამიგბრო-ოპერატიულ განყოფილებაში, შემდეგ ავტონისპექტორი, ვიმუშავე პოლიციაში, ბოლო წლებში საპატრულო პოლიციაში, ვმონაწილეობდი სამაჩაბლოს და აფხაზეთის შეიარაღებულ კონფლიქტებში. ვარ პოლიციის მაიორი. მყავს ორი ვაჟი. უფროსი დათო – 25 წლის, უმცროსი – დემეტრე – 12 წლის. არც ერთმა არ „ინდობს“ ჭილაობას გააოლოდა. დემეტრე ფეხბურთს მისდევს. ვნახოთ, იქნებ გაუპართლოს და მსოფლიო ფეხბურთში ფეხი შედგას...

ამჟამად მეუღლესთან ნინო ჭილაბრაშვილთან ერთად ვცხოვრობ ანთოპში, ვუკლი ვენახს, მყავს ფუტკარი და სხვებით იმედით შეგვეურებ ქვეყნის მომავალს. ვნახოთ, თუ სპონსორი გამოიძინდა ვინმე, იქნებ ვეტერანთა ვეროპის ჩემპიონატშიც ვცადო ჩემი ბედი.

საქართველოს ჩემპიონის ტიტულთან – ეპროპისა და მსოფლიო პირველობების საბზურიც



3-4-5 მაისს თბილისში, დიდმის საწვრთნელ ბაზაზე ჩატარდა ევროპისა და მსოფლიო პირველობების შესარჩევი საქართველოს პირველობა ჭილაობა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის. ტურნირში საქართველოს ამ ასაკის სხვა უმაღლეს ძიუდოსტებთან ერთად ასპარეზობდა აიპ „საგარეჯოს“ მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ მწვრთნელების მამუკა მათიაშვილისა და ნუკრი გაგნიაშვილის ნიჭიერი აღსაზრდელი, ჭაბუკები საქართველოს ჩემპიონი და ევროპის პრიზორი ჭილაობა სამბოში, ძიუდოში ახალგაზრდებს შორის შარშან-

დელი ვიცე-ჩემპიონი, დიდებში მეორე დონეზე წლევენდელი II პრიზორი, სხვადასხვა ტურნირების პრიზორი და გამარჯვებული ამირან ღარბასიელი. მისი ამ და სხვა წარმატებების შესახებ ჩვენი გაზეთი თავის დროზე რეგულარულად აწვდიდა ინფორმაციას სპორტის ამ სახეობით დაინტერესებულ მკითხველს. ახლა კი ამ ტურნირზე ამირანის დიდი წარმატების შესახებ გვინდა გაცნობოთ ძიუდოს გარეჯელ გულშემბეკიერებს. შემოაღნიშნულ ტურნირზე მიღწეული 5 გამარჯვებით, რომლებიც ყველა იპონით დაასრულა, ამირანმა საქართველოს ჩემპიონობასთან ერთად ევროპისა და მსოფლიო პირველობების ლიცენზიაც მოიპოვა, რაც, რა თქმა უნდა, დიდად სასიხარულოა მისი მწვრთნელებისა და ყველა საგარეჯოელისათვის.

აქვე, როგორც მამუკა მათიაშვილისა და ნუკრი გაგნიაშვილისაგან შევეტყვეთ, ამირანს 28 მაისს 20 წელი უსრულდება, და გვთხოვს გაზეთის საშუალებით მიგველოცა მისთვის ეს თარიღი და ახალი გამარჯვება.

მაღე ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატებზე გამარჯვებებიც მიგველოცოს ამირანისათვის.

ქვესი ჩემპიონი ლაბოდეხის საერთაშორისო ტურნირიდან

აპრილის ბოლოს ქ. ლაბოდეხმა უმასპინძლა აქაური ფალავანის გიორგი ნავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირის ჭილაობა ძიუდოში 2008-2009 და 2006-2007 წლებში დაბადებულ ძიუდოსტებს შორის.

ტურნირის პირველ დღეს ტატამზე 2008-2007 წლიანი მოჭიდავეები დადგნენ, რომელთა შორისაც აიპ „საგარეჯოს“ მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ძიუდოსტებიც ასპარეზობდნენ. მათგან ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: საბა ოდიკაძე (24 კგ), ოთარ ოდიკაძე (27კგ), თამაზ მეკოკიშვილი (მძიმე წონა). მეორე პრიზორები გახდნენ: ვახო ჭილაბრაშვილი (34კგ) და ვასილ გულისაშვილი (50კგ) (მწვრთნელები მამუკა მათიაშვილი და ნუკრი გაგნიაშვილი). ტურნირზე მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს გიორგი ადუაშვილმა (38კგ, მწვრთნელი მიხეილ ქურხული) და ალექო ბეჟიაშვილმა (24 კგ, მწვრთნელები – გონა მეკოკიშვილი, ბადრი ბასილაშვილი).

რაც შეეხება 27 აპრილს გამართულ 2006-2007 წლებში დაბადებულთა ასპარეზობას, აქაც შეჯიბრების პირველი დღის მსგავსად, ჩემპიონის ტიტულები სამმა საგარეჯოელმა მოჭიდავემ მოიპოვა. 30 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი შოთა ბაჩოშვილი აღმოჩნდა. ლაშა ტიბინაშვილი ჩემპიონი გახდა 38 კგ წონით კატეგორიაში, ბიბი შაიაშვილი უძლიერესი იყო მძიმე წონაში, ონისე ბაჩოშვილი ვიცე-ჩემპიონი გახდა 34 კგ წონით კატეგორიაში (მწვრთნელები მამუკა მათიაშვილი და ნუკრი გაგნიაშვილი).

გივი ლაბახიშვილი

დავით ღარბასიელის მორიბი წარმატება

მეტირანი საგარეჯოელი მარათონელის დავით ღარბასიელის სპორტული წარმატებები ჩვენს გაზეთს არაერთხელ გაუცვნიდა მკითხველისთვის. გაღის წლები, მაგრამ ჟამთაგულა ვერაფერს აკლებს ჩვენს მორბენალს, 38 წლის ასაკშიც იგი ჩვეულ რეჟიმში აგრძელებს ვარჯიშსა და სხვადასხვა სპორტულ ასპარეზობებში მონაწილეობას. ამ დღეებში მან მონაწილეობა მიიღო „ბათუმის დამის მარათონში“, სადაც 21 კილომეტრიან დისტანციაზე პირველობის მოსაპოვებლად ერთმანეთს ეცილებოდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 300-ზე მეტი მორბენალი. ამ მარათონში დავითმა 21 კმ დისტანცია I საათსა და 25 წუთში გაირბინა და მესამე ადგილზე გავიდა. პირველი და II ადგილები კი კენის უძლიერესმა მორბენლებმა გაინაწილეს. საერთო შედეგში დავითი პირველ ადგილზე გასულ კენიელს 15 წუთით, მეორეს კი 10 წუთით ჩამორჩა. იმის გათვალისწინებით, თუ რა პირობებში უხდებოდა მას და მის კენიელ მეტოქეებს ვარჯიში, მისი ეს შედეგი ნამდვილად მისასალმებელია. ცალკე ხაზგასასმელია, რომ დავითი ამ ასპარეზობაში არც ერთ სპორტულ ორგანიზაციას არ დაუფინანსებია და მასში მონაწილეობა საგარეჯოელი ამხანაგების დახმარებით შეძლო.

ამჟამად მთაწმინდის პლატოს 1500 საფეხურიანი კიბის არბენის რეკორდსმენი, ვეტერანი მორბენალი ინტენსიურად ვარჯიშობს და ემზადება მსოფლიო რბენის მარათონში მონაწილეობის მისაღებად.




ახალი ღიბნი

თამაზ ქვლივიძის „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“



ს ა გ ა რ ე ჯ ო ე ლ ი

გ ა მ ო მ გ ო ნ ე ბ ლ ი ს თამაზ ქვლივიძის სახელი უკვე კარგა ხანია ცნობილია არა მარტო საგარეჯოსა და საქართველოში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. მევენახეობის სფეროში მომუშავე გამომგონებლის პირველი „დებიუტი“ 1983 წელს შედგა, როცა მისი ვაზის ასახვევი პლასტმასის მასალების 12 ნიმუში დაინერგა არა მარტო საქართველოში, არამედ აზერბაიჯანსა და სომხეთშიც, რითაც მიღებულია ეკონომიკურმა ეფექტმა 1986 წლისათვის უკვე მილიონ მანეთს გადააჭარბა. ამ მიღწევისათვის ახალგაზრდა გამომგონებელი პირველი ოქროს მედალითა და უმაღლესი საავტორო გასამრჯელოთი – 20 ათასი მანეთით დააჯილდოვეს.



მას შემდეგ მრავალი წელი გასულა და დღეს უკვე 64 წლის გამომგონებელი ავტორია 58 გამოგონების, რომელთაგან 38 დაპატენტებულია. აღნიშნული საავტორო გამოგონებებისათვის სამჯერ აქვს მიღებული უმაღლესი ჯილდო – ოქროს მედალი, ხუთჯერ უმაღლესი საავტორო ჯილდო – 20-20 ათასი მანეთი.

იგი გახლავთ ავტორი ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოცემული მონოგრაფიისა „მევენახეობა ახლებურად“ – ახალგაზრდობის საგამომგონებლო საქმიანობის გააქტიურების მიზნით „ვაზი ჩემი სიამაყე“ და „ხვალის ვენახი“. 32 წლის ასაკში მინიჭებული აქვს დამსახურებული გამომგონებლის წოდება, არის აშშ ქალაქ დევისის საპატიო მოქალაქე და დაჯილდოებულია ღირსების მედალით.

ამდენი დეწლისა და დამსახურების პიროვნებამ, რისი მიღწევის გზაც სულაც არ ყოფილა მისთვის ია-ვარდით მოფენილი, კიდევ ერთი კარგი საჩუქარი მოუშადა ქართველ ხალხსა და ახალგაზრდობას. ამ დღეებში დღის სინათლე იხილა მისმა ახალმა წიგნმა „ვაზის და 850 წლის რუსთაველის საუბარი“, რომელშიც ავტორი გვესაუბრება ვენახზე, მის მიერ გამოგონებულ სიახლეებზე, თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში მევენახეობის ახლებურად განვითარებაზე. აქვე შესულია 850 წლის შოთა რუსთაველისადმი მიძღვნილი მისი 800 სტრიქონიანი პოემა, რომელშიც რუსთაველთან საუბარში გადმოცემულია მშობლიური ქვეყნის აწმყოსა და მომავლის შესახებ ავტორის ხედვა და მისწრაფებები.

წიგნის მკითხველებს და განსაკუთრებით ახალგაზრდებს აუცილებლად დაინტერესებს ვენახის გაშენებასა და ყურძნის მოვლა-მოყვანასთან დაკავშირებული სამუშაოების, ვაზის დარგვის (ნაერა), ახალშენის შპალერზე გადაყვანის, ვაზის გასხვლის, შეყვლევის, ფურჩხან-ახვევის, წამლობის, რწყვის, როვლის ჩატარების, ღვინის დაყენების, არყის გამოხდის ტრადიციების შესახებ მოყვანილი და სხვა მასალებიც, რომლებიც უხვადაა ილუსტრირებული და სათანადო ლექსებით გაფორმებული.

წიგნში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა და ცალკე თემადაა გამოტანილი თბილისში, გამირთა მოედანზე დიდი მეფის – დავით აღმაშენებლის მემორიალის შექმნის იდეა, რომელიც ყმაწვილკაცობიდან აღდეგებს ავტორს. მისი აზრით, დავით აღმაშენებლის გარდაცვალების 900 წლისთავისათვის, მისი მეფობის 36 წლიანი გვირგვინის წარსულის აღსანიშნავად ამ მოედანზე უნდა აღიმართოს 36 საფეხურიანი მოოქროვილი მემორიალი ოქროს გვირგვინით, რისთვისაც პირადად შეწირავს საკუთარი წარმოების 10 ათას ბოთლ „საფერავის“ რეალიზაციიდან მიღებულ თანხას. ოქროს გვირგვინის დადგმის ხარჯებს კი პირწმინდად გაიღებს ქვლივიძეების საგარეჯოლო. „ეს არის ჩემი გამოგონება, ხვალის იმედით რომ მიჩნდება, მაღლობა უფალს, თუ ეს მიგნება, ოქროს გვირგვინით დაგვირგვინდება“, – წერს იგი.


წიგნში ცალკე ყურადღების საგანს წარმოადგენს ავტორის ხედვა და გამოგონება ვენახების თანამედროვე ღონეზე მოწყობის, მისი მოვლა-მოყვანის საკითხებზე, რომლებიც უსათუოდ უნდა წაიკითხონ მევენახეობითა და საქართველოს ხვალისდელი დღით დაინტერესებულმა ადამიანებმა.

უსათუოდ დამაინტერესებელი და გასათვალისწინებელია საქართველოსა და მის ხვალისდელ ბედ-იბლაზე დაფიქრებული ავტორის აზრები ახალგაზრდობის განათლების სფეროში, კერძოდ 11-12 კლასებში გასატარებელი რეფორმების შესახებ, რომლებიც ზოგადად ქვეყნის მოსახლეობისა და ამ დარგში მომუშავეთა შეხედულებებს ემთხვევა.

ერთი სიტყვით, ამ წიგნში ვაზთან, ქვეყნის სიძლიერისა და კეთილდღეობის უძველეს წყაროსთან ერთად, თითქმის იმ ყველაფერზეა საუბარი, რაც ჩვენი ქვეყნის ბედ-იბლაზეა და მომავალს ეხება და კარგი იქნება თუ ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ მკითხველსაც ისეთივე გრძობები და მისი განხორციელების სურვილი აღეძვრება, რამაც თამაზ ქვლივიძეს ამ წიგნის დაწერა გადააწყვეტინა.

ბიზი დაბახიშვილი

„გოგლაობა“



25 მაისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და კულტურის ობიექტების გაერთიანების ორგანიზებით, სოფელ პატარძელში, გიორგი ლეონიძის სახლ-მუზეუმში, პოეტის 120 წლის იუბილისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაული- „გოგლაობა-2019“ გაიმართა.

მოწვეულ სტუმრებს „ნატერის ხის“ გმირებმა „დიდი ფშატის ხის“ და „მარიტას ბროწეულის ხის“ ჩრდილქვეშ უმასპინძლეს, სადაც დიდი პოეტის არაერთი ლექსი და პროზაული ციტატა გაჟღერდა.

ღონისძიებას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე-შოთა კაკაბაძე, პარლამენტის დეპუტატი-რომან მუხიაშვილი, საკრებულოს თავჯდომარე-ოთარ ჩალათაშვილი - ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებთან ერთად, გოგლა ლეონიძის შთამომავლები, მწერალთა კავშირის წევრები და საპატიო სტუმრები ესწრებოდნენ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის უფროსმა - არჩილ ჯაბადარმა-ლიტერატურულ კონკურს-„ნატერის ხის“ გამარჯვებულებს საპატიო სიგელები და ფულადი ჯილდო გადასცა.

გოგლაობის სახალხო დღესასწაული სოფელ პატარძელში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით ყოველ წელს სახეიმოდ აღინიშნება.



გოგლას დაბადება

(ლექსი ეძღვნება პოეტი აკადემიკოსის, გიორგი ლეონიძის დაბადებიდან 120 წლის იუბილეს)

რამდენ ქარიშხალს გაუძლო მიწამ! ერმა გაუძლო ვაებას რამდენს! ლოცვა დავითის ფარით ვვიცავს - უფლის ვედრებად ასული ცამდე...



ვერ გადარჩება მძლე იმპერიაც, თუ ერის გენმა მცველი ვერ ნახა... ქართული სული კრავს ივერიას - აღმოცენებულს უკვდავ ვენახად.

დავითის სული ხარობდა დიდგორს, როცა ინათა გოგლას ვარსკვლავმა!

ვიღაცამ უნდა მხრებით იტვირთოს წინაპართ გენით შვილთა განმსჭვალვა...

გზაგასაყარზე საუკუნეთა დეკემბრის დამე თეთრად განათდა; წყვილადი, ბნელი და უკუნეთი გააპო ლოცვამ მამა-პაპათა.

ეს შუქი ასე მძლავრად კრთებოდა, წმინდა ნინოსი როცა ვიწამეთ... დიდი ქართველი იბადებოდა პატარძელის წმინდა მიწაზე.

იბადებოდა, რათა ილიას შეშველებოდა სულის მტვირთველი. „- დავიცვათ ის გზა, ერს რომ გვივლია“, ეს იყო გოგლას ფიქრი პირველი.

წმინდა ღვთისმშობლის შეწევნა გვფარავს, ვერ დაგვანოქებს მტრის ძალა კრული, რადგანაც გოგლა იღვება მარად დიდ მეციხოვნედ ქართველი სული!

წმინდა ღვთისმშობლის შეწევნა გვფარავს, ვერ დაგვანოქებს მტრის ძალა კრული, რადგანაც გოგლა იღვება მარად დიდ მეციხოვნედ ქართველი სული!

სანდრო უსტიაშვილი

რედაქტორი: თინათინ ილაური. „გარეჯის მაცნე“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300 რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15, გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“. ტელეფონები: 599 502 842 599 851 143 ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com